

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p><u>ბიოლოგია</u></p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ბიოლოგიის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>240 კრედიტი: სასწავლო კურსები - ძირითადი სპეციალობა major – 168 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები – 12 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა/ან არჩევითი კურსები 60 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი)</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია ცოცხალის ყველა ფორმისა და გამოვლინების, ცოცხალის თვისობრივი თავისებურებების, სასიცოცხლო პროცესების რეგულაციისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა. ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესწავლა ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებათა შესწავლა, ცოცხალი სისტემების თვითმარეგულირებელ მექანიზმებში გარკვევა, ცოცხალში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური პროცესებში წვდომა, მედიცინის ბიოლოგიური საფუძვლების შესწავლა, ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შეცნობა, კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ახალი ჯიშების შექმნისათვის თეორიული საფუძვლების შესწავლა, ბუნების ეთიკურ-ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა შეცნობა, ცოცხალი სამყაროს ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაციისა და ადამიანის ინტერესებისათვის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობებით აღჭურვა.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>კურსდამთავრებული მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, ბოტანიკურ ბაღებში, აკვარიუმში, დელფინარიუმში, ზოოპარკში, ბუნების დაცვის ორგანიზაციებში, ნაკრძალებში, ჯანდაცვის სფეროში, პედაგოგიური ბლოკის დისციპლინების (დამატებით პროგრამად მასწავლებლის პროგრამის) არჩევის შემთხვევაში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში.</p> <p>შეიძენს ფართო ცოდნას ბიოლოგიის ტრადიციულ დარგებში (ბოტანიკა, ზოოლოგია, ციტოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია, გენეტიკა, ბიოევოლუცია, ბიოტექნოლოგია, ადამიანის ანატომია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია) სხვადასხვა (მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილურ, ორგანიზმულ, პოპულაციურ, ბიოგეოცენოლოგიურ) დონეზე;</p> <p>გააცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს:</p> <p>- უჯრედთა ძირითადი სახეების, მათი ფუნქციების ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესაბამისობას. ასევე, სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და ცოცხალი სისტემების თვითმარე-</p>

	<p>გულირებელ მექანიზმებს.</p> <p>შემღებს მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკასა და კვლევით საქმიანობაში; შესაბამისი კვლევითი სამუშაოების დაგეგმვას წინასწარი მითითების შესაბამისად, ანალიზს, კრიტიკულ შეფასებას გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპებით. ასევე, ბიოლოგიური მოვლენების კვლევის, ანალიზის, განზოგადებისა და ბუნების დაცვის საქმეში.</p> <p>ასევე ჩამოუყალიბდება კონკრეტული ბიოლოგიური პროექტებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელის მითითებით; შემღებს სტუდენტური პროექტებისა და რეფერატების მომზადებას, დემონსტრირებას, პრეზენტაციას;</p>																
<p>შეფასების წესი</p>	<p>საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში დოქტორანტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით.</p> <p>საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <table border="0"> <tr> <td>ECTS-ის შეფასება</td> <td>ქულა</td> </tr> <tr> <td>A – ფრიადი</td> <td>91-100</td> </tr> <tr> <td>B – ძალიან კარგი</td> <td>81-90</td> </tr> <tr> <td>C – კარგი</td> <td>71-80</td> </tr> <tr> <td>D – დამაკმაყოფილებელი</td> <td>61-70</td> </tr> <tr> <td>E – საკმარისი</td> <td>51-60</td> </tr> <tr> <td>FX – ვერ ჩააბარა</td> <td>41-50</td> </tr> <tr> <td>F – ჩაიჭრა</td> <td>0-40</td> </tr> </table>	ECTS-ის შეფასება	ქულა	A – ფრიადი	91-100	B – ძალიან კარგი	81-90	C – კარგი	71-80	D – დამაკმაყოფილებელი	61-70	E – საკმარისი	51-60	FX – ვერ ჩააბარა	41-50	F – ჩაიჭრა	0-40
ECTS-ის შეფასება	ქულა																
A – ფრიადი	91-100																
B – ძალიან კარგი	81-90																
C – კარგი	71-80																
D – დამაკმაყოფილებელი	61-70																
E – საკმარისი	51-60																
FX – ვერ ჩააბარა	41-50																
F – ჩაიჭრა	0-40																
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ქეთევან დოლიძე – სრული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>☎ მობ. ტელეფონი: 577783505</p> <p>✉ E-mail: ketodolidze@yahoo.com</p>																